ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №21

22.12.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე, ლევან ჯაფარიძე.

საკრებულოს წევრი:

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. **ლევან მდივნიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 14 დეკემბრის №12-032234849-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234360-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 1-ელი დეკემბრის №12-032233522-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 1-ელი დეკემბრის №12-032233525-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234317-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 8 დეკემბრის №12-032234256-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 14 დეკემბრის №12-032234867-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 12 დეკემბრის №12-03223468-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

9. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 დეკემბრის №12-032235552-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 14 დეკემბრის №12-032234849-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება შემოსულობების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადის 8541 700 ლარის ზრდით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების 425 700 ლარის შემცირებით და ზოგიერთი შემოსავლის ფაქტობრივად მიღებული ოდენობის მიხედვით გეგმის დაზუსტებით. ამასთან, ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა შეადგენს 1 567 982 600 ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 0201) 500 000 ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) 5 404 600 ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) 650 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) 140 200 ლარით, **გამწვანების ღონისძიებები (03 01) 2 000 000 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 7 827 600 ლარით,** დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) 1 100 000 ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) 500 000 ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 01 13) 26 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) 27 600 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) 41 100 ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) 47 000 ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) 45 000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) 20 000 ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) 260 000 ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) 60 000 ლარით, ქ. თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) 100 000 ლარით და ემატება ახალი პროგრამა მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) 1 410 000 ლარის ოდენობით.

მცირდება გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია (კოდი 01 01 01) 500 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) 49 300 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) 40 400 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) 25 800 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) 90 700 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდო 01 01 13) 19 400 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) 140 200 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) 160 000 ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 650 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) 57 100 ლარით,

კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) 279 300 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) 66 500 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში - 117 100 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) 67 800 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) 130 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) 100 000 ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) 2 187 600 ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) 412 900 ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) 2 800 ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) 284 000 ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 06) 10 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) 14 200 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) 11 900 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) 91 300 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) 88 900 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) 25 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) 13 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) 77 500 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში ათასი ლარით (კოდი 05 01 17) 99 000 ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) 160 000 ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) 200 000 ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) 90 000 ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 26 000 ლარით, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) 1 150 000 ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 14 10) 2 700 ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) 25 800 ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 15 11) 9 800 ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) 2 100 ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) 10 000 ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 16 11) 6 600 ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) 11 300 ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) 37 000 ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 17 11) 8 500 ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) 2 000 ლარი, ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 17 15) 0,06 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) 65 000 ლარით, სპორტული

ღონისძიებები (კოდი 08 06 01) 100 000 ლარით, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) 11 000 ლარით, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) 32 000 ლარით, სპორტი უფროსი თაობისთვის (კოდი 08 06 07) 50 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) 1 600 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) 4 800 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) 43 300 ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 01) 1 000 000 ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) 1 000 000 ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) 33 000 ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) 60 000 ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) 2 088 900 ლარით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მხრიდან შეკითხვები არ დასმულა, განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 14 დეკემბრის **№12-032234849-03 წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 14 დეკემბრის **№12-032234849-03 წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234360-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან ჟორჟოლიანმა.

მომხსენებლის (ლ. ჟორჟოლიანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ მიმდებარედ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 12 250 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.311) ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2, ასევე, მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილის (№6/59476; 25.10.2022წ.) თანახმად, შპს „წყალბურთის კლუბი დინამო თბილისის“ (ს/ნ: 405206165) მიერ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია განცხადება, ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ მიმდებარედ არსებული, №01.14.14.005.311 საკადასტრო მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე, შემდგომში, მრავალფუნქციური საწყალოსნო სპორტის სახეობათა კომპლექსის აშენების მიზნით და ამისთვის 4 500 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით, რისთვისაც საჭიროა უძრავ ქონებაზე განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მოხსნა.

ასევე, წარმოდგენილია შპს „წყალბურთის კლუბი დინამო თბილისის“ წერილი (№77; 11.10.2022წ.), რომლის თანახმად, ტერიტორიისათვის რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნებით აშენდება ახალი, თანამედროვე და ოლიმპიური სტანდარტების შესაფერისი მრავალფუნქციური საწყალოსნო სპორტის სახეობათა კომპლექსი, რომელიც მოემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სპორტულ და სამოყვარულო ჯგუფებს, აგრეთვე ინკლუზიურ და მოწყვლად ჯგუფებს, ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვა ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, რომელმაც ისაუბრა საწყალოსნო სპორტის, მათ შორის წყალბურთის მნიშვნელობასა და აღნიშნული სპორტის სახეობის ხელშეწყობის აუცილებლობის თაობაზე.

ბატონმა ნ. კახეთელიძემ აღნიშნა, რომ №01.14.14.005.311 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე და ოლიმპიური სტანდარტების შესაფერისი მრავალფუნქციური საწყალოსნო სპორტის სახეობათა კომპლექსის მშენებლობა ხელს შეუწყობს საწყალოსნო (წყალბურთის) სპორტის განვითარებას, ტერიტორია შენარჩუნდება სარეკრეაციო-საზოგადოებრივი ფუნქციით და კომპლექსი, სამომავლოდ, მოემსახურება მრავალი ახალგაზრდა სპორტსმენის აღზრდას. შესაბამისად, წარმოდგენილი სახით, ტერიტორიაზე საწყალოსნო სპორტის სახეობათა კომპლექსის მშენებლობა საუკეთესო გადაწყვეტილებაა ქალაქისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 დეკემბრის **№12-032234360-03** წერილით წარმოდგენილი „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 დეკემბრის **№12-032234360-03** წერილით წარმოდგენილი „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 1-ელი დეკემბრის №12-032233522-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის №22.1816.1967 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01223133649-67(№012232417-67; №012232747-67); №01222733015-67; №01223072928-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01223133649-67(№012232417-67; №012232747-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გიორგი შატბერაშვილის ქუჩა №50ი-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.020) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №01223193541 წერილის მიხედვით, განცხადებაში მითითებულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ფუნქცია და მოთხოვნის შესაბამისად სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას არ ექნება უარყოფითი გავლენა განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ამასთან, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, მიზანშეწონილია, გაუქმდეს №01.14.11.065.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან სამხრეთით გავრცელებული სატრანსპორტო ქვეზონის ფენა, ხოლო დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

შესაბამისად, ფაქტობრივ მდგომარეობის ასახვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

ინიციატივით, ხორციელდება №01.14.11.065.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

აღნიშნული სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.14.11.065.020 და №01.14.11.065.075 საკადასტრო ერთეულებს შორის დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირედ ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.14.11.065.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გიორგი შატბერაშვილის ქუჩა №50ი-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.020) ნაწილზე და №01.14.11.065.075 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ვ. სურგულაძე).

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01222733015-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება, III მიკრორაიონი, IV კვარტალი, კორპუსი 57-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.034.001) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება, III მიკრორაიონი, IV კვარტალი, კორპუსი 57-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.034.001) პრივატიზებას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილზე - რუკაზე №01.11.17.034.001

საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.11.17.034.001 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

გარდა ამისა, ფრაგმენტული ხასიათის ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.11.17.004.433 საკადასტრო ერთეულზე, №01.11.17.004.150, №01.11.17.004.130, №01.11.17.004.434, №01.11.17.004.306 საკადასტრო ერთეულების ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 24 ნოემბრის №18-01223253842 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება, III მიკრორაიონი, IV კვარტალი, კორპუსი 57-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.034.001) საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა, ასევე, მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ჩრდილოეთით) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და ასევე, მიმდებარედ (№01.11.17.004.433 საკადასტრო ერთეული, №01.11.17.004.150, №01.11.17.004.130, №01.11.17.004.434, №01.11.17.004.306 საკადასტრო ერთეულების ნაწილი და დაურეგისტრირებელ ტერიტორია) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01223072928-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.004.103) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი 2022 წლის 5 ოქტომბრის №66-0122278570 მომართვა, რომლითაც ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღები მართვის სააგენტო განმარტავს, რომ №01.16.08.004.103 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების (სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელების) მიზნობრიობას წარმოადგენს ბაგა-ბაღის მშენებლობა.

მოთხოვნილი სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) წარმოადგენს სპეციალური ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 21 სექტემბრის №01223252078 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, საპროექტო ტერიტორიასა და სატრანსპორტო ზონას (მ. ლოლაძის ჩიხი) შორის არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ხარვეზის სახით დარჩენილი საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით იცვლება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.004.103) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 1-ელი დეკემბრის **№12-032233522-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01223133649-67(№012232417-67; №012232747-67); №01222733015-67; №01223072928-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 1-ელი დეკემბრის №12-032233525-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის №22.1834.1973 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №0122319658-67(№0122320722-67; №0122328377-67); №01223205-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№0122319658-67(№0122320722-67; №0122328377-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.042; №72.16.21.043; №72.16.21.044; №72.16.21.045; №72.16.21.065; №72.16.21.054; №72.16.21.047; №72.16.21.046; №72.16.21.055; №72.16.21.053; №72.16.21.052; №72.16.21.051; №72.16.21.050; №72.16.21.117; №72.16.21.118; №72.16.21.120; №72.16.21.119; №72.16.21.636; №72.16.21.111; №72.16.21.113; №72.16.21.114; №72.16.21.115; №72.16.21.116; №72.16.21.630) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №196 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა (რზ). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

ასევე, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონით (რზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის გავრცელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.042; №72.16.21.043; №72.16.21.044; №72.16.21.045; №72.16.21.065; №72.16.21.054; №72.16.21.047; №72.16.21.046; №72.16.21.055; №72.16.21.053; №72.16.21.052; №72.16.21.051; №72.16.21.050; №72.16.21.117; №72.16.21.118; №72.16.21.120; №72.16.21.119; №72.16.21.636; №72.16.21.111; №72.16.21.113;

№72.16.21.114; №72.16.21.115; №72.16.21.116; №72.16.21.630) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა, ასევე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონით (რზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის გავრცელება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(შენიშვნა: წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01223205-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.920) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის №53 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა (2 კვ.მ.). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.920) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ასევე, მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 1-ელი დეკემბრის №12-032233525-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №0122319658-67(№0122320722-67; №0122328377-67); №01223205-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234317-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 დეკემბრის №22.1862.2006 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - **№01222642964-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01223352627)).**

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - **№01222642964-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01223352627) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ერედვის ქუჩა №81-83-85-87-91; ფატმანის ქუჩა №84-89-92-94-96-98-100-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.116; №01.72.14.038.522; №01.72.14.038.368; №01.72.14.038.521; №01.72.14.056.128; №01.72.14.038.178; №01.72.14.038.657; №01.72.14.056.129; №01.72.14.038.112; №01.72.14.038.520; №01.72.14.038.117; №01.72.14.038.118; №01.72.14.038.915; №01.72.14.038.972) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომში, ერედვის ქუჩა, №87, №81, №89, №85, №83, №91; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა №96, №100, №98, №84, №94, №92-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.038.178, №01.72.14.038.116, №01.72.14.038.657, №01.72.14.038.520, №01.72.14.038.117, №01.72.14.038.118, №01.72.14.038.972, №01.72.14.038.522, №01.72.14.038.368, №01.72.14.038.521, №01.72.14.056.128, №01.72.14.056.129, №01.72.14.038.112, №01.72.14.038.915) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №623 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ერედვის ქუჩა №81-83-85-87-91; ფატმანის ქუჩა №84-89-92-94-96-98-100-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.038.116; №01.72.14.038.522; №01.72.14.038.368;

№01.72.14.038.521; №01.72.14.056.128; №01.72.14.038.178; №01.72.14.038.657; №01.72.14.056.129; №01.72.14.038.112; №01.72.14.038.520; №01.72.14.038.117; №01.72.14.038.118; №01.72.14.038.915; №01.72.14.038.972) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(შენიშვნა: წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 დეკემბრის **№№12-032234317-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - **№01222642964-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01223352627))** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 8 დეკემბრის №12-032234256-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 დეკემბრის №22.1846.2004 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01222982981-67; №01223203226-67(№01223323444-67; №01223343484-67); №0122308398-67; №01223393762-67; №01223213077-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01222982981-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №115-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.009.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

№01.18.09.009.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, რომელიც მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ 2022 წლის 17 აგვისტოს წერილით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 2 დეკემბრის №01223363454 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.009.003-მიმდებარედ) მიმდებარედ, №01.81.03.041.001 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №115-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.009.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და №01.81.03.041.001 საკადასტრო ერთეულის

ნაწილზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01223203226-67(№01223323444-67; №01223343484-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩა №67-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.126) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 4-ით (სზ-4) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

№01.14.08.001.126 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4), საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 4-ით (სზ-4) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა ხორციელდება №01.14.08.001.126 საკადასტრო ერთეულის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზეც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 18 ნოემბრის №01223223258 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0122308398-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.320) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 7 დეკემბრის №01223412836 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01223393762-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, №7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.008.002) ნაწილზე მოთხოვნილია თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გავრცელებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანებული ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდება ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 6 დეკემბრის №01223404127 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) მოხსნა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, №01.13.04.008.003 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გავრცელებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანებული ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.13.04.008.002; №01.13.04.008.003) ნაწილზე თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანებული ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01223213077-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევში, №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.208) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს 2022 წლის 25 აგვისტოს №34-01222372073 წერილი, რომლითაც გლდანის რაიონის გამგეობამ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, შემდგომში, ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის მიზნობრიობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 7 დეკემბრის №01223412882 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 8 დეკემბრის **№12-032234256-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01222982981-67; №01223203226-67(№01223323444-67; №01223343484-67); №0122308398-67; №01223393762-67;

№01223213077-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 14 დეკემბრის №12-032234867-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №22.1896.2066 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №01223193221-67; №0122272665-67; №01223193606-67; №0122305894-67(№01223252173-67); №01223252047-67; №01222781989-67(№01222833662-67); №0122336742-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01223193221-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №113ა-ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.008.020) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ან საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

№01.18.09.008.020 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად გაუარესდა საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა, №01.18.09.008.020 საკადასტრო ერთეულზე მიზანშეწონილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 7 დეკემბრის №01223413681 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით №01.18.09.008.002 და №81.03.16.109 საკადასტრო ერთეულების ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.18.09.008.002 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა, №81.03.16.109 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ითა (სზ-5) და საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №113 ა-ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.008.020) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა და მიმდებარედ №01.18.09.008.002 და №81.03.16.109 საკადასტრო ერთეულების ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ითა (სზ-5) და საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0122272665-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მიკრორაიონის მიმდებარედ (ინტენსიფიკაციის გზის ზევით), ნაკვეთი №49-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.14.16.015.499 და №01.14.16.015.502) ნაწილზე მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

№01.14.16.015.502 და №01.14.16.015.499 საკადასტრო ერთეულებზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად გაუარესდა სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 8 დეკემბრის №01223422809 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.14.16.015.499 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01223193606-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.07.928) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

№81.01.07.928 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად გაუარესდა სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 7 დეკემბრის №01223412826 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით №81.01.07.888 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №81.01.07.888 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.07.928) ნაწილზე და მიმდებარედ №81.01.07.888 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0122305894-67(№01223252173-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №8ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.036) ნაწილზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული გამწვანებული (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, №01.17.12.023.028 და №01.17.12.023.018 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 დეკემბრის №01223422830 წერილით, თანახმაა მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №8ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.036) ნაწილზე და მიმდებარედ №01.17.12.023.028; №01.17.12.023.018 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული გამწვანებული (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01223252047-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვანის ქ. №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.006.023) ნაწილზე

მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, №01.13.06.006.064 მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვანის ქ. №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.006.023) ნაწილზე და მიმდებარედ №01.13.06.006.064 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01222781989-67(№01222833662-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.019) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული გამწვანებული (შიდა კვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 12 ოქტომბრის №01222851441 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.11.12.022.005 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა და №01.11.12.023.019 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ვინაიდან აღნიშნული საკადასტრო ერთეული განკარგულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილ იქნა პოზიცია ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით. 2022 წლის 13 დეკემბრის №61-01223473512 წერილის მიხედვით, სააგენტო არ არის წინააღმდეგი №01.11.12.023.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მოიხსნას გავრცელებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა, იმ პირობით, რომ ქონების მესაკუთრე გადაიხდის ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა და ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებულ ფასთა შორის არსებულ სხვაობას, დაანგარიშებულს დღევანდელი მდგომარეობით. აღნიშნული თანხის ოდენობა დაანგარიშებული იქნება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და მისი გადახდა ქონების მესაკუთრის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს №01.11.12.023.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შესაბამისი მშენებლობის პროექტის შეთანხმებამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.019) ნაწილზე და მიმდებარედ №01.11.12.022.005 საკადასტრო ერთეულსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია **ფასთა შორის სხვაობის გადახდის პირობით.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(შენიშვნა: წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№0122336742-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.015.509 და №01.14.16.015.510-ის ნაწილზე) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს საპროექტო არეალის პრივატიზებას. საპროექტო მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.14.16.015.509 და №01.14.16.015.510) ჩრდილოეთით გავრცელებულია სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და შესაბამისად მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 13 დეკემბრის №01223473339 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 14 დეკემბრის **№12-032234867-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01223193221-67; №0122272665-67; №01223193606-67; №0122305894-67(№01223252173-67); №01223252047-67; №01222781989-67(№01222833662-67); №0122336742-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მერვე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 12 დეკემბრის №12-03223468-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მერვე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილება ეხება „შემდეგი რიგის საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა“ არეალს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №17-112 დადგენილებით განხორციელებული საპარკე არეალის: „შემდეგი რიგის საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა“ ცვლილებისას დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი. განხორციელებული ცვლილებით ზემოაღნიშნული არეალის საზღვრები დაკორექტირდა №01.19.33.019.283; №01.19.33.004.124; №01.19.33.019.275 და №01.19.33.019.280 (ნაწილი) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიების ნაწილში.

წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ზემოაღნიშნული საპარკე არეალის- „შემდეგი რიგის საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში -ფონიჭალა“ კორექტირებას ქ. თბილისში, სამგორის რაიონში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.33.019.283; №01.19.33.004.124; №01.19.33.019.275; №01.19.33.019.280; №01.19.33.004.321-ის ნაწილი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 დეკემბრის №18-01223421972 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპარკე არეალზე განხორციელდეს კონტურის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 9 დეკემბრის №61-0122343624 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი აღნიშნული საპარკე არეალი დაკორექტირდეს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი წერილების საფუძველზე, მიზანშეწონილია განხორციელდეს „შემდეგი რიგის საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა“ არეალის საზღვრების კორექტირება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მხრიდან შეკითხვები არ დასმულა, განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 12 დეკემბრის **№12-03223468-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („შემდეგი რიგის საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა“ არეალის საზღვრების კორექტირება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეცხრე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 დეკემბრის №12-032235552-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეცხრე (მიმდინარე) საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის

საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის №22.1967.2139 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა და ასევე, №01223503026-67; №01223293148-67(№01223472207-67; №01223531214-67); №012223461645-67; №01223211371-67(№01223491746-67)).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, კახეთის 63/15, სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.082) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 21 დეკემბრის №18-012235561 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო არეალზე გავრცელდეს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

საპროექტო ტერიტორია, ფაქტობრივი მდგომარეობით ინტენსიურად გამწვანებულ არეალს წარმოადგენს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის 63/15, სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.082) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01223503026-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.069) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, თავის კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.069) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 დეკემბრის №01223532617 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო №01.17.07.031.069 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.069) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

(შენიშვნა: წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01223293148-67(№01223472207-67; №01223531214-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. №2-სა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.720) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს.

იმავე წესების შესაბამისად, სპეციალურ ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე საგანმანათლებლო შენობის მშენებლობა, რომელიც განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№012223461645-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩაზე ვულკანიზაციის საამქროს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.028) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

საპროექტო არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 21 დეკემბრის №0122355234 წერილის მიხედვით, ვინაიდან მოთხოვნილი ცვლილებით მოხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, მოთხოვნილ მონაკვეთზე სწორხაზოვანი კონფიგურაციით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01223211371-67(№01223491746-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა N107-ში მდებარე მიწის ნაკვეთის

(საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.281) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 22 ნოემბრის №0122326992 წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ქვეზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციისა და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განსახილველ ტერიტორიაზე, ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაწილობრივ. კერძოდ, ნიკო ბურის ქუჩაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტური პარამეტრის უცვლელად გადაადგილდეს დასავლეთით, №01.72.14.039.193 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრის გასწვრივ, ხოლო, ხატაეთის ქუჩაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არაერთგვაროვანი კონტური დაკორექტირდეს იმგვარად, რომ აღნიშნულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) გააჩნდეს სწორხაზოვანი კონფიგურაცია და მისი პარამეტრი (სიგანე) შეადგენდეს 7 მეტრს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა №107-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.281) ნაწილზე, ასევე, №01.72.14.056.025, №01.72.14.311.001 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 21 დეკემბრის **№12-032235552-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა და ასევე,

№01223503026-67; №01223293148-67(№01223472207-67; №01223531214-67); №012223461645-67; №01223211371-67(№01223491746-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე